დანართი 1

დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯის "თეთნულდი"

დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №02/11 ბრძანებით

სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი" პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი" (შემდგომში „კოლეჯი") პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ადგენს კოლეჯში არსებული თანამდებობების დასაკავებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
2. წინამდებარე წესის შესაბამისად, პერსონალის სამსახურში მიღებისათვის დგინდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიზანია კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასება.
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თითოეული ადმინისტრაციული/დამხმარე/მომსახურე პერსონალის თანამდებობისათვის.
4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შესაბამისი განათლების, კვალიფიკაციის, გამოცდილების, საჭიროების შემთხვევაში, კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენის ცოდნის, აგრეთვე სხვა პირობებთან შესაბამისობის შემოწმებას.
5. თითოეული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მის მიერ დასაკავებელი თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
6. პერსონალის სამსახურში მიღების გადაწყვეტილებას კოლეჯის დირექტორიიღებს მხოლოდ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისა და/ან საკონკურსო კომისიის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) დასკვნის საფუძველზე.
7. პერსონალი სამსახურში არ მიიღება, თუ ის არ აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
8. პერსონალთან, რომელიც სამუშაოდ მიიღება დროებით განსაზღვრული ვადით, კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის, შრომითი ურთიერთობები შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულებით.
9. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია პერსონალი მიიღოს გამოსაცდელი ვადით, შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის შესახებაც აღინიშნება შესაბამის ბრძანებაში.

მუხლი 2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 2.1. დირექტორის მოადგილე

დირექტორის მოადგილის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;
ბ) პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება, მათ შორის, ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;
გ) ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;
დ) პასუხისმგებლობის გრძნობა;
ე) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
ვ) ქართულ ენაზე გამართულად წერისა და მეტყველების უნარი;
ზ) საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი;
თ) გუნდურად მუშაობის უნარი;
ი) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
კ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
ლ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;
მ) კომუნიკაციის უნარი;

მუხლი 2.2. მთავარი ბუღალტერი

მთავარი ბუღალტრის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლება ან შესაბამის დარგში მუშაობის სულ მცირე ორწლიანი გამოცდილება.
გ) მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება;
გ) საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი;
დ) გუნდურად მუშაობის უნარი;
ე) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
ზ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.3. ხარისხის მართვის მენეჯერი

ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა)მინიმუმ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ადმინისტრირებაში ან
ბაკალავრის ხარისხი სხვა სფეროში
ბ) ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ფუნქციით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილების ქონა;
გ)ავტორიზაციის ან აკრედიტაციის ექსპერტად მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილების ქონა.
დ)დეტალებზე ორიენტირებულობა;
ე)წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაციის კარგი უნარები
ვ)მონაცემთა შეგროვების და ანალიტიკური უნარები, მათ შორის ელექტრონული სისტემების გამოყენებით;
ზ)კარგი ინტერპერსონალური უნარები;
თ)კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობა და პუნქტუალურობა.

მუხლი 2.4. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;
ბ) პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება;
გ) კომუნიკაციის უნარი;
დ) საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი;
ე) გუნდურად მუშაობის უნარი;
ვ) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
თ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.5. სასწავლო პროცესებისა და სასწავლო-საწარმოპრაქტიკის მენეჯერი

სასწავლო პროცესებისა და სასწავლო-საწარმოპრაქტიკის მენეჯერი თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;
ბ) პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება;
გ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;
დ) პასუხისმგებლობის გრძნობა;
ე) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
ვ) ქართულ ენაზე გამართულად წერისა და მეტყველების უნარი;
ზ) საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი;
თ) გუნდურად მუშაობის უნარი;
ი) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
კ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;

ლ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.6. შესყიდვების სპეციალისტი

შესყიდვების სპეციაისტის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
ბ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ ერთი წელი;
გ) საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი;
დ) გუნდურად მუშაობის უნარი;
ე) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
ზ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.7. მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი

მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;
გ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ ორი წელი;
გ) საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი;
დ) გუნდურად მუშაობის უნარი;
ე) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
ზ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.8. იურისტი .

იურისტის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება (იურიდიული განათლება);
ბ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ ორი წელი;
გ) საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი;
დ) გუნდურად მუშაობის უნარი;
ე) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
ზ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.9. რეესტრის წარმოების სპეციალისტი

რეესტრის წარმოების სპეციალისტის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;
ბ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ ერთი წელი;
გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
დ) გუნდური მუშაობის უნარი;
ე) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა
3) კომუნიკაციის უნარი;

ზ)გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.10. საქმის მწარმოებელი/არქივარიუსი

საქმის მწარმოებელის/არქივარიუსის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;
ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
გ) გუნდური მუშაობის უნარი;
დ) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა
ე) კომუნიკაციის უნარი;
ვ)გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.11. ქსელის ადმინისტრატორი

ქსელის ადმინისტრატორის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება IT მიმართულებით;
გ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ ერთი წელი;
გ) გუნდურად მუშაობის უნარი;
დ) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
ე) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
ვ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.12. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება;
ბ) უცხო ენის ცოდნა (სასურველია)
გ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; დ) მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება;
ე) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;
ვ) კომუნიკაციის უნარი;
ზ) გუნდურად მუშაობის უნარი;
თ) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
ი) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.13. ლოჯისტიკის მენეჯერი

ლოჯისტიკის მენეჯერის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
ბ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ ერთი წელი;
გ) გუნდურად მუშაობის უნარი;
დ) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა.
ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
ვ) გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.14. ბიბლიოთეკარი

ბიბლიოთეკარის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
ბ) ბიბლიოთეკარად მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება;
გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
დ) გუნდური მუშაობის უნარი;
ე) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა
ვ) კომუნიკაციის უნარი; ზ)გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.15. მედდა

მედდის თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) სამედიცინო სფეროში აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
ბ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ ხუთი წელი;
გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
დ) გუნდური მუშაობის უნარი;
ე) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა
ვ) კომუნიკაციის უნარი;
ზ)გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;

მუხლი 2.16. სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მენეჯერი (შტატგარეშე მოსამსახურე)

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული განათლება;
ბ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
გ) მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება;
დ) გუნდური მუშაობის უნარი;
ე) შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა; -
ვ) კომუნიკაციის უნარი;
ზ)გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი;